



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

კოსტიუმის დიზაინი

Design of a suit

ქუთაისი

2011

**1. პროგრამის საახელწოდება: კოსტიუმის დიზაინი**

**2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიზაინის მაგისტრი**

**Master of Design**

**3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ECTS 120 კრედიტი, აქედან**

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი - 10 კრედიტი

საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი - 10 კრედიტი

სპეციალობის კურსები: სავალდებულო კურსები- 97.5 კრედიტი  
არჩევითი კურსები- 2.5 კრედიტი

**4. სწავლების ენა: ქართული**

**5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგი**

დიზაინის პროგრამის მიზანია მოამზადოს მსუბუქი მრეწველობის და მოდის ინდუსტრიის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მისცეს მათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა მოდისა და სტილის თანამედროვე კონცეფციების შესახებ, განუვითაროს მათ შემოქმედებითი ინტუიცია და აზროვნება, ჩამოუყალიბოს დახვეწილი გემოვნება. პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა უახლესი დარგობრივი ტექნოლოგიების და მასალების შესახებ. მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად შეძლებს კონკრეტული მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანის გადაჭრის გზების განსაზღვრას.

**დასაქმების სფერო:**

კურსდამთავრებული მაგისტრები დასაქმდებიან ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, კვლევით ცენტრებში, მოდელის სახლებში, ან თვითდასაქმებით ინდივიდუალურ და მცირე საწარმოებში, სურვილის შემთხვევაში კი სწავლას გააგრძელებენ უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე, შესაბამისი ან მონათესავე სპეციალობის სადოქტორო პროგრამაზე.

**6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად პიროვნებას**

- უნდა ჰქონდეს შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების ბაკალავრის კვალიფიკაცია (ან მისი ექვივალენტი)

ჩაბარებარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

**7. სწავლის შედეგი**

დიზაინის მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების მეორე საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

<p><b>ცოდნა</b> <b>გაცნობიერება</b></p>	<p><b>და</b></p> <p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.</p>	<p>ფლობს საფუძვლიან ცოდნას მოდის და სტილის თანამედროვე კონცეფციების შესახებ; ზედმიწევნით იცნობს ზოგად სტილისტურ მიმართულებებს და პიროვნების იმიჯის შექმნის ასპექტებს; ფლობს მოდის ინდუსტრიისა და კოსტიუმის დიზაინის სიღრმისეულ ცოდნას; გააჩნია ცოდნა ადამიანის ფიგურის ანტროპომეტრიის, პლასტიკური ანატომიისა და კოსტუმის კომპოზიციის კანონზომიერებების შესახებ; გააჩნია სისტემური ცოდნა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის დაგეგმარების შესახებ;</p>
---	---	--

		<p>ფლობს სიდრმისეულ ცოდნას სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p>	<p>შეუძლია მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული მოდელირებისა და დაგეგმარების ამოცანების გადაჭრა მასალების ეკონომიის, ტექნოლოგიური პროცესების რაციონალური ორგანიზების გათვალისწინებით; შეუძლია მოდის ტენდენციების წინასაპროექტო კვლევის პროცესში განსაზღვროს ახალი ფორმების ხასიათი, მოახდინოს მათი კლასიფიცირება და ტიპიზაცია ნაწარმის ასორტიმენტის მიხედვით; შეუძლია კონკრეტული მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრის დროს გონივრულად გამოიყენოს სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის მეთოდები; აქვს უნარი გაითვალისწინოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ტანსაცმლის დაგეგმარებაზე; შეუძლია ახალი ფორმებისა და მოდელის კონსტრუქციის ტექნოლოგიურობის განსაზღვრა; ფლობს პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევებს და შეუძლია სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელება სხვადასხვა საფეხურზე.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<p>შეუძლია კონკრეტული მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად წინასაპროექტო კვლევის შედეგების გაანალიზება, განზოგადება და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება, კვლევის შედეგების საფუძველზე შემოქმედებითი პროექტის (იდეა, მიზნები, მოცანები, განხორციელების საშუალებანი) დაგეგმარება; ფუნქციონალური, ერგონომიული, ტექნიკური (მასალის შერჩევა, კონსტრუქტორული გადაწყვეტა, ტექნოლოგიური დამუშავება) და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით; შეუძლია ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების გამო-</p>

		ყენებით მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარება, გაანალიზება და ლოგიკური დასკვნის გამოტანა.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო მიღწევათა გათვალისწინებით.	შეუძლია თავისუფლად ორიენტირება მოდის ინდუსტრიაში, მსოფლიო მოდის მიმართულებებისა და ტენდენციების თვალყურის დევნება; მოდური კონცეფციის შემუშავება, დახასიათება და დასაბუთებული აზრის გამოხატვა; მოდის განვითარების ანალიზი და პროგნოზირება; დამკვეთისათვის ინდივიდუალური სტილისა და იმიჯის შექმნა, მისი გემოვნებისა და გარეგნული თავისებურებების გათვალისწინებით; შეუძლია ასევე პროექტის, საავტორო ნაშრომის, კოლექციის და ა.შ. ახსნა-განმარტების წერილობითი სახით ჩამოყალიბება, საჯარო წარმოდგენა, დასაბუთება და დაცვა მშობლიურ და უცხო ენებზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; სამოდელო სააგენტოების, მოდელების სალონებისა და სახლების ხელმძღვანელობა; სხვადასხვა მოდელების ჩვენების, მხატვრული ნამუშევრების გამოფენის, დეფილეს მოწყობა-პრეზენტაცია და შედეგების შეჯამება; ინფორმაციების მოპოვება მოდის ინდუსტრიის საერთაშორისო ფორუმების შესახებ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; კავშირის დამყარება პარტნიორებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.
<b>სწავლის უნარი</b>	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.	შეუძლია საკუთარი განათლების დონის შეფასება, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით სწავლის გაგრძელება, შეძენილი განათლებისა და დაუფლებული უნარ-ჩვევების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასება და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.
<b>ღირებულებები</b>	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებები	პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში ხელმძღვანელობს კოლეგიალობისა და ობიექტურო-

	ბების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.	ბის პრინციპებით, აცნობიერებს თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებისათვის დიზაინის სფეროს და საზოგადოდ მოდის ინდუსტრიის აქტუალობას და მუდმივად ითვალისწინებს ინოვაციებსა და დამკვეთის მოთხოვნებს შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. აქტიურად ეწევა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში საუნივერსიტეტო განათლების პოპულარიზაციას.
--	-------------------------------------	---

**სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების რუქა კოსტიუმის დიზაინი**

	კურსი	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	X
2	დარგის უცხო ენა	X	X	X	X	X	X
3	სამეცნიერო ნაშრომის წერის საფუძვლები	X	X			X	X
4	კოსტიუმის მხატვრული დაგეგმარება	X	X	X			X
5	კოსტიუმის სამრეწველო და ექსკლუზიური დიზაინი	X	X	X			X
6	საკოლექციო მოდელების დიზაინი	X	X	X			X
7	მოდის ინდუსტრია და მოდური ტენდენციები	X	X	X	X		X
8	ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირება	X	X	X			
9	ფეხსაცმლის ტექნიკური მოდელირება	X	X	X		X	
10	სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ტანსაცმლის რთული მოდელების ტექნოლოგია	X	X	X			
11	ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ქიმიზაცია	X	X	X			
12	სატანსაცმელე და საფეხსაცმელე მასალების კონფექციონირება	X	X	X			X
13	კოსტიუმის საავტორო კოლექციის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური	X	X	X	X	X	X

	დაგეგმარება						
14	საავტორო კოლექციის დამუშავება მასალაში	X	X	X			X
15	კომპიუტერული ტექნოლოგიები კოსტიუმის დიზაინში	X	X	X	X	X	X
16	ინდივიდუალური სტილი კოსტიუმში	X	X	X			X
17	მოდის სოციოლოგია ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	X
18	პროფესიონალური პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
19	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა (სამაგისტრო დისერტაცია)	X	X	X	X	X	X
20	ქართული კოსტიუმის ისტორია	X	X	X			

### 8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სტუდენტისათვის სწავლების პროცესის ისეთი ორგანიზებით, რომელიც უზრუნველყოფს:

- ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლებას;
- პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო და არჩევითი კურსების შესწავლას;
- არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას მსუბუქი მრეწველობის კერძო ფირმებსა და საწარმოებში, თვითდაფინანსების საფუძველზე შესაძლებელია პრაქტიკის გავლა უცხოეთში.

პროგრამის განხორციელებისას აპრობირებული და დანერგილია სწავლების ტრადიციული ფორმები-ლექცია, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობა, რომლებზეც გამოიყენება სწავლების აქტიური მეთოდები: დისკუსია, კითხვა-პასუხის სესია, კვლევითი ჯგუფი, პრეზენტაცია.

### 9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**10. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა  
კოსტიუმის დიზაინი**

№	კურსი	სთ /კვ	ლ/ჯგმ/ინდ	კრედიტების რაოდენობა	სემესტრი				წინაპი რობა
					I	II	III	IV	
<b>საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (10 კრედიტი)</b>									
1	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	2	12.12.101	5	5				
2	სამეცნიერო ნაშრომის წერის საფუძველები	2	0.30.95	5		5			
<b>საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი)</b>									
3	დარგობრივი უცხო ენა-1	3	0.36.89	5	5				
	დარგობრივი უცხო ენა-2	3	0.45.80	5		5			
	უცხო ენა (A <sub>1</sub> )	3	0.36.89		5				
	უცხო ენა (A <sub>2</sub> )	3	0.45.80			5			
	უცხო ენა (B <sub>1</sub> )	3	0.36.89		5				
	უცხო ენა (B <sub>2</sub> )	3	0.45.80	5		5			
<b>სავალდებულო კურსები (97,5 კრედიტი)</b>									
4	კოსტუმის მხატვრული დაგეგმარება-1	2	0.24.101	5	5				
5	კოსტუმის მხატვრული დაგეგმარება-2	1	0.15.110	5		5			
6	კოსტიუმის სამრეწველო და ექსკლუზიური დიზაინი	3	0.45.80	5			5		
7	საკოლექციო მოდელების დიზაინი	3	0.45.80	5				5	
8	მოდის ინდუსტრია და მოდური ტენდენციები	2	30.0.32.5	2.5		2.5			
9	ტანსაცმლის ტექნიკური მოდელირება	3	12.24.89	5	5				
10	ფეხსაცმლის ტექნიკური მოდელირება	3	12.24.89	5	5				
11	სხვადასხვა მასალისგან დამზა- დებული ტანსაცმლის რთული	3	15.30.80	5		5			

	მოდელის ტექნოლოგია								
12	ფეხსაცმლის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ქიმიზაცია	3	15.30.80	5		5			
13	სატანსაცმელე და საფეხსაცმელე მასალების კონფექციონირება	3	12.24.89	5	5				
14	ტანსაცმლის საავტორო კოლექციის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება	3	0.45.80	5			5		
15	ფეხსაცმლის საავტორო კოლექციის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება		0.45.80				5		
16	საავტორო კოლექციის დამუშავება მასალაში	3	0.45.80	5				5	
17	პროფესიონალური პრაქტიკა			5			5		
18	სამაგისტრო ნაშრომი-1			10*			10		
19	სამაგისტრო ნაშრომი-2			20*				20	
30* - საათების განაწილება იხილეთ შესაბამის ინსტრუქციაში.									
<b>სპეციალიზაციის არჩევითი კურსები (2.5 კრედიტი)</b>									
20	კომპიუტერული ტექნოლოგიები კოსტუმის დიზაინში	2	30.0.32.5	2.5		2.5			
	ინდივიდუალური სტილი კოსტუმში	2	15.15.32.5	2.5		2.5			
	ხელოვნების სოციოლოგია ფსიქოლოგია	2	30.0.32.5	2.5		2.5			
	ქართული კოსტუმის ისტორია	2	30.0.32.5	2.5		2.5			
<b>პროგრამის კომპონენტები</b>									
	საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი			10	5	5			
	საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები			10	5	5			
	სპეციალობის სავალდებულო კურსები			97.5	20	17.5	30	30	
	სპეციალობის არჩევითი კურსები			2.5		2.5			
	<b>სულ</b>			120	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სკ - საათი კვირაში

ლ/ჯმ/ლაბ/ინდ. - ლექცია/ჯგუფში მუშაობა/ლაბორატორიულ/ინდივიდუალური.

პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია მაგისტრანტმა შეასრულოს სამაგისტრო დისერტაცია- დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, რომელსაც საფუძვლად უდევს უკვე ცნობილი გადაწყვეტილებების მოდელირება. მაგისტრანტმა ნაშრომის შესრულებისა და დაცვის პროცესში უნდა აჩვენოს, რომ დამოუკიდებელად შეუძლია ზოგიერთი მეცნიერული ამოცანის დასმა და მისი გადაწყვეტის გზების შემოთავაზება, კარგად ხედავს დარგის კონკრეტულ პრობლემებს და იცნობს მათი გადაჭრის მეთოდებსა და გზებს.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ორი სემესტრის (III- IV) მანძილზე.

III სემესტრში მაგისტრანტმა სადისერტაციო თემაში დასმული პრობლემის ღრმად შესწავლის, გააზრებისა და გაანალიზების საფუძველზე უნდა ჩამოაყალიბოს კვლევის მიზნები, ამოცანები, შეირჩიოს კვლევის ობიექტები და მეთოდები და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება.

III სემესტრში მაგისტრანტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება კითხვა-პასუხის რეჟიმში გამოკითხვის, პორტფოლიოსა და პრეზენტაციის მეთოდი.

მაგისტრანტის მიერ სემესტრის მანძილზე გაწეული მუშაობის შეფასება ხდება ხელმძღვანელისა (შუალედური შეფასება) და დეპარტამენტის შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალისაგან შემდგარი კომისიის მიერ.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

შუალედური შეფასება ხელმძღვანელის მიერ .....	20
პრეზენტაცია.....	40
რეფერატის შესრულების ხარისხი.....	40

შუალედური შეფასება ხორციელდება მე-8 კვირის ბოლოს. ხელმძღვანელი აფასებს მაგისტრანტის მიერ გაწეულ მუშაობას კითხვა-პასუხის რეჟიმში მისი გამოკითხვის საფუძველზე. საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად მაგისტრანტამა შუალედურ შეფასებაში უნდა დაიმსახუროს მინიმუმ 11 ქულა.

სემესტრის ბოლოს მაგისტრანტი მოხსენებით გამოდის პრეზენტაციაზე.

IV სემესტრში მაგისტრანტმა ხელმძღვანელის მითითებითა და მონაწილეობით უნდა დაასრულოს ექსპერიმენტი, დაამუშავოს, გააანალიზოს და გაიაზროს მიღებული შედეგები და შეძლოს ლოგიკური დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. გაწეული მუშაობის შედეგები წარმოადგინოს დისერტაციის სახით და დაიცვას ის.

IV სემესტრში მაგისტრანტის ცოდნის შუალედური შეფასება ხდება II სემესტრის ანალოგიურად.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, დაცვა და შეფასება ხორციელდება აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გზამკვლევის შესაბამისად.

### 11. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება აწსუ VI კორპუსის აუდიტორიები, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის ლაბორატორიები, დიზაინის აუდიტორიები, საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი ლექტორებთან.

### 12. პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი

გვარი, სახელი	აკადემიური თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
მერაბ შალამბერიძე	სრული პროფესორი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი	ტელეფონი: 8-(431)4-26-35; 8-(431) 2-03-33; 577-37-70-50 e-mail: <a href="mailto:merab.sh@hotmail.com">merab.sh@hotmail.com</a>
ნინო დოლიძე	სრული პროფესორი აკადემიური დოქტორი	ტელეფონი:8-(431)-24-82-06; 8-(431)-23-40-59; 5-93-32-34-26; e-mail: <a href="mailto:nidolidze@mail.ru">nidolidze@mail.ru</a>
ავთანდილ ქათამაძე	სრული პროფესორი ტექნიკის მეცნიერების დოქტორი	ტელეფონი:8-(431)27-20-84; 8-(431)-23-40-58; 5-93-12-24-96;

თინათინ მალაქელიძე	ასოცირებული პროფესორი აკადემიური დოქტორი	ტელეფონი: 8-(431)27-28-01; 8-(431)-3-57-47; 599-14-52-60; e-mail: sane774@hotmail.com
მერაბ დათუაშვილი	ასისტენტ პროფესორი აკადემიური დოქტორი,	ტელეფონი: 8-(431)-22-03-33; 8-(431)-29-19-96; 5-99-49-94-56 e-mail: merabidat@mail.ru
მაია გრძელიძე	ასოცირებული პროფესორი აკადემიური დოქტორი,	ტელეფონი: 8-(431)24-53-98; 5-99-30-81-88; 8-(431)-3-40-58 e-mail: maianano@mail.ru
ნატალია ლომთაძე	ასისტენტ პროფესორი აკადემიური დოქტორი,	ტელეფონი: 8-(431)25-53-03; 8-(431) 22-03-33; 599-97-02-99 e-mail: lomtadzenato@mail.ru
ირინა უგრეხელიძე	დოქტორანტი	ტელეფონი 8(431)-27-28-84 593-751-888
ქეთევან ჩირგაძე	დოქტორანტი	ტელეფონი: 8-(431)-29-74-39; 8-(431)-23-40-59; 593-60-72-96
ლალი ხვადაგიანი	მხატვარ-დიზაინერი	ტელეფონი: 8-(431)-22-03-33 595-51-33-21 8-(431)-29-54-6
ნესტან კუტივაძე	ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	ტელ: 24-48-87; 599 46 48 87 ელფოსტა: <a href="mailto:n.kutivadze@yahoo.com">n.kutivadze@yahoo.com</a>